ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი **21.05.2025 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ნინო მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, რევაზ კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები უკვე საკმაოდ დიდი ხანია, სისტემატურად არ ესწრებიან კომისიის სხდომებს, რითაც ხელს უშლიან კომისიის მუშაობას.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების,

კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** და აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროდან მოვიდა თანხმობის წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში მოხდეს გურული მხედრების ძეგლის განთავსება, რომელიც სახელმწიფო მოღვაწემ, ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომლის ბაბუა ლაზარე ჯორბენაძე და მისი ძმა კირილე ჯორბენაძე იყვნენ გურული მხედრების ევროპასა და ამერიკაში გამგზავრების ორგანიზატორები, მათი და ჩიბათელი მხედრების (სულ თექვსმეტი კაცის) პატივსაცემად, სამხატვრო აკადემიას თავისივე ხარჯებით დაამზადებინა, რომელიც შესრულებულია ბაზალტის ქვის მასალით. განკარგულების პროექტს კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარე, **კარლო კვიტაიშვილი** მოხარულია, რომ ძალიან მალე ქალაქის ცენტრალურ სკვერში დაიწყება საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რაც სკვერის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 20 % - ს დაიკავებს, ხოლო დარჩენილი ტერიტორია ისევ იქნება ბავშვების გასართობი სივრცე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №6 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **21.05.2025 წ.**

2025 წლის 21 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

21.05.2025 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი	15[illegible]	
2. ნინო მშვიდობაძე	1588	
3. დარეჯან ბურჭულაძე	15[illegible]	
4. ლოლიტა ურუშაძე	1555	
5. კარლო წილოსანი	1557	
6. მაკა მშვიდობაძე	ახ ესწრებოდა	
7. გოჩა ჯანაშია	ახ ესწრებოდა	
8. რევაზ კვერენჩხილაძე	1558	
9. ელისო ჭიჭინაძე	ახ ესწრებოდა	
10. ვერიკო კვირკველია	ახ ესწრებოდა	